წყალტუბოს ახალგაზრდული საკრებულოს დებულება

I. ზოგადი დებულებები

1. წყალტუბოს ახალგაზრდული საკრებულო (შემდეგში „საკრებულო“) წარმოადგენს ახალგაზრდულ სათათბირო ორგანიზაციას, რომელიც დაკომპლექტდება წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლებიდან არჩეული IX-XII კლასელი მოსწავლეებითა (2 მოსწავლე თითოეულიდან) და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან.
2. საკრებულო არის ადგილობრივ თვითმმართველობასთან არსებული ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც ითანამშრომლებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხელისუფლებასთან და წარადგენენ ახალგაზრდობის პრობლემებს ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე.
3. საკრებულოს წევრები იღებენ პასუხისმგებლობას, რომ შეისწავლონ ახალგაზრდობის პრობლემები, შეიმუშაონ რეკომენდაციები და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე დადებითი გავლენა მოახდინონ არსებული პრობლემების გადაწყვეტაზე.
4. საკრებულო არ უნდა ასოცირდებოდეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან.
5. საკრებულოს კურაციას გაუწევს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

II. საკრებულოს მიზანი

1. საკრებულოს მიზანია თვითმმართველობის იდეის განვრცობის ხელშეწყობა ახალგაზრდებს შორის და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

III. საკრებულოს წევრები.

1. საკრებულოს წევრი არის მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სკოლის მოსწავლე ან სტუდენტი, რომელიც ცხოვრობს მუნიციპალიტეტში.
2. საკრებულოს წევრები აირჩევა ერთი სასწავლო წლის ვადით.

IV. საკრებულოს მუშაობის მეთოდები და პირობები

1. საკრებულო აირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და კომისიების ხელმძღვანელებს, რომლებიც შეადგენენ საკრებულოს ბიუროს.
2. საკრებულოში შეიქმნება თემატური კომისიები.
3. ყოველ წელს საქმიანობა უნდა დასრულდეს წლიური მოხსენების (ანგარიშის) მომზადებით.
4. საკრებულომ რეგულარულად უნდა აცნობოს ადგილობრივ თვითმმართველობას და რესურს ცენტრს თავისი საქმიანობის შესახებ.
5. სასკოლო არდადეგების დროს საკრებულო არ მუშაობს.
6. საკრებულოს პირველ შეკრებაზე საკრებულო დაამტკიცებს რეგლამენტს.

V. საკრებულოს დაფინანსება

1. საკრებულო შეიძლება დაფინანსდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან და კანონით დაშვებული სხვა წყაროებიდან.